# სამშობლო

წ. I 1915 წ. ხუთშაბათი 19 თებერვალი

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. **დამატებით 7 კაპ.** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი ... განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ... 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე შიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეულ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მან.

№ 16 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 16


"სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა".


თ. დ. სვიმონ გიორგის ძე წერეთელი აუწყებს ნათესავთა და ნაცნობათ, რომ ომში ტრაღიკულათ მოკლულ იქნა შვილი მისი

## ა რ ჩ ი ლ ი,

რომლის დაკრძალვაც მოხდება დაბა საჩხერეში შაბათს, 21 თებერვალს. პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 4 საათ., საჩხერის მაცხოვრის ეკლესიაში.

1—8

მახლობელთა და ნაცნობთა გულითადი ყურადღებით გამხნევებულნი და გალონიერებულნი მათ ღრმა მწუხარებაში შტაბ-როტმისტრის თავადის

## მიშა წერეთლის

ბრძოლაში დაკარგვით დედა მისი კნეინა ელისაბედ გიორგის ასული და ძმები პეტრე და ლევან წერეთლები სწირავენ ულრმეს და გულწრფელ მადლობას ყველას, ვინც პირადი დასწრებით, ან წერილით და დეპეშით გამოუცხადა მათ თანაგრძნობა.

## ელექტრო-თეატრი რადიუმი.

ხუთშაბათ, 19 და პარასკევს, 20 თებერვალს, მხოლოდ ორ დღეს იქნება ახალი პროგრამა:

1) **პათე-ჟურნალი**

საქვეყნო სენსაცია! სეზონის საკვირველება!

2) **თანამედროვე მესალინა**

ძლიერი დრამა 3 მოქმედებათ თანამედროვე ცხოვრებიდან. რომელშიაც მონაწილეობს გამოჩენილი ლამაზი—მსახიობი ქალი **ჯენი ლინ.**

1 ნაწილი—ქალი ხანჯლით, 2 ნაწილი—ბიწიერება იტაცებს, 3 ნაწილი—შური და უგნურება.

3) **ბა—ბელი—ქმარი**

მხიარული კომედია 2 ნაწილად.

**დასაწყისი საღამოს 6 საათზე.** თ. 51.


## ქუთაისი, 19 თებერვალი.

**ცხრამეტი თებერვალი!** შეიძლება ახლა ბევრს არას გვეუბნებოდეს ეს თვე და რიცხვი, რადგანაც ჩვენ იმ დროის შვილები ვართ, როცა ბატონ-ყმობა უკვე გადავარდნილი იყო და, მაშასადამე, პირდაპირ არ განგვიცდია ბოროტი ზეგავლენა ამ ინსტიტუტისა, ჩვენ მხოლოდ მოწმენი ვართ ბატონყმობის ნაშთებისა და იმ დაბეჩავებისა და გაოგნებისა, რომლიდანაც ჯერაც ვერ განთავისუფლებულა ჩვენი გლეხობა, ნამეტნავათ აღმოსავლეთ საქართველოში.

ეს ნაშთები ნათელ ჰყოფენ რამოდენათ შევიწროებული უნდა ყოფილიყო ქვეყნის მარჩენალი მუშა კაცი, რამოდენად დამცირებული უნდა ყოფილიყო მისი პიროვნება, მისი ადამიანური ღირსება, მისი ნებისყოფა და სულის კვეთება!

მართლადაც წარმოსადგენათაც კი საზარელია ბატონ-ყმობის დრო!

რა იყო ეს ბატონ-ყმობა? ბატონყმობა იყო სრული უფლება ერთისა—**ბატონისა** მეორეზე—**ყმაზე.** ყველაფერი ბატონს: სიცოცხლე, სიამოვნება, ბედნიერება, თავისუფლება, სხვის შრომის ნაყოფი, არაფერი—**ყმას.** ყმის სიცოცხლე მხოლოდ დაუსრულებელი **მოვალეობა** იყო. ყმა, მისი ცოლი, შვილი, ქონება, შრომა, სახლი და კარი, მისი სიცოცხლეც კი—ბატონს ეკუთვნოდა. ბატონი იყო მისი მსაჯული, მისი ღმერთი. ბატონი გინდ მოჰკლავდა ყმას, გინდ შეიწყალებდა მას.

ბატონი მბრძანებელი იყო, მონა კი მის ყოველგვარი სურვილის აღმასრულებელი.

**„ყმის ყველა ბატონისი არის"**—აი უმთავრესი მუხლი მაშინდელი კანონმდებლობისა. და....

იყო გლეხი ვით პირუტყვი უღელში გაბმული და მუშაობდა იგი, ვით ხარი დღე და ღამ..

და აჯდა ზურგზე მას ბატონი, ვით შეკაზმულ ცხენს და დააჭენებდა მას თავის სურვილზე.

და იყო კბილთა ღრჭენა, გოდება და ტირილი ერთ მხარეს!

და იყო ხარხარი და ბრძანება მეორე მხარეს!

მთელი რუსეთისა და მათ შორის საქართველოს მშრომელი ხალხი ასრულებდა ბრძანებას თავის ბატონისას და ვერა ჰპოვებდა მშრომელი ხალხი იგი ვერც სამართალს, ვერც სიცოცხლეს, ვერც სიამოვნებას.

„მე ჩემის ჭირის, ჩემის წუხილის,
ჩემის კაცობის გულის დუღილის
სიტყვანი გულში მებადებიან,
მაგრამ გულშივე უხმოდ კვდებიან.
შენ ვერ გაიგებ მეტყველის ტანჯვას,
როცა სიტყვასა მართალს გულში
ჰკლავს!

აქ მენდევ, ლაბავ, (ხარო) ჩემი უღელი შენს უღელზედა უფრო ძნელი!..

შესჩიოდა მეტყველი—გლეხი პირუტყვ—ხარს და ამ ხარს თავისზე ბედნიერათ სთვლიდა.

ოღონდაც, ბატონ-ყმობის დროს ხარი უფრო ბედნიერი იყო გლეხზე, ქვეყნის მარჩენალზე.

მაგრამ გავიდა დრო! ადამიანური ღირსების დაჩაგვრამ, ღვთის ხატების ფეხქვეშ გათელვამ, უკიდურესმა უსამართლობამ, ცხოვრების გართულებამ და უაღრესმა მცონარეობამ ბატონობისამ ბოლო მოუღო ამ ვერაგ დაწესებულებას—**ბატონყმობას.**

სისხლის წვიმებმა წალეკეს იგი და ცრემლმა მშრომელი ხალხისამ გადარეცხა იგი დედამიწის ზურგიდან...

მთავრობა და გონიერი ნაწილი თავად აზნაურობისა,—ბატონებისა—თავისდა საბედნიეროთ მიხვდენ, რომ ასე ცხოვრება შეუძლებელი იყო და ხალხის—მშრომელი ხალხის უმრავლესობის უკმაყოფილებამ აიძულა იგინი მოესპოთ ბატონ-ყმობა.

— დავიწყოთ რეფორმები **ზევიდან,** რომ **ქვევიდან** არ დაიწყოს იგიო! ბრძანა შორსმჭვრეტელმა იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ.

**ქვევიდან** დაწყება რეფორმებისა ქვას ქვაზე აღარ დასტოვებდა და ძლიერნი ამა ქვეყნისა ყოველივე უპირატესობას დაჰკარგავდენ.

ამიტომ სახელმწიფო საბჭომ გადასწყვიტა „დებულებანი გლეხთა" შესახებ, კანონათ ექცია.

ეს მოხდა ცხრამეტ თებერვალს, 1861 წელს.

ეს რიცხვი, თვე და წელიწადი განთიადია გლეხთა ახალის ცხოვრებისა. ამ თვესა და რიცხვში პირველათ ამოაშუქა მზემ მშრომელთა თავისუფლებისამ და თავისი დიდი სხივები სტყორცნა ცხოვრების წყვდიადს.

მზის ამ სხივებმა საქართველომდის მხოლოდ 1864 წ. მოაღწიეს, მაგრამ ჩვენი გლეხობა მაინც მადლობით შეხვდა ამ სხივებს და სიხარულით აღვსებული შეუდგა ახალის, თავისუფალისა და თავისებურის ცხოვრების შექმნას..

მაშ, აღტაცებითა და მადლობით მოვიხსენიოთ პირველი სხივები ამომავალის მზისა, თუმცა სავსებით მზე იგი ჯერაც არ ამოსულა!

## ბატონყმობა ჩვენში.

(გლეხების განთავისუფლების გამო).

დღეს, 19 თებერვალს, შესრულდა 54 წელიწადი მას აქეთ, რაც რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II ხელი მოაწერა უკვდავ მანიფესტზე ბატონყმობის მოსპობის შესახებ. აი, სწორედ ამ უმაღლესი განკარგულების ძალით, რუსეთის გლეხკაცობა, „კრეპოსტნიე", განთავისუფლდა სამუდამოთ ძველი მონობისაგან.

ამ ისტორიულმა ამბავმა უზომო და გულწრფელი სიხარული გამოიწვია ხალხში, განურჩევლად წოდებისა და სქესისა. ასეთ ღირს სახსოვარ დღეს მთელი რუსეთი სამართლიანად დღესასწაულობს. რუსეთში მყოფ გლეხთათვის 19 თებერვალი არის ის წმინდა სახელი, რომელსაც იგი მოწიწებით იხსენიებს.

სამუდამოთ გაჰქრა ის შავბნელი დრო, რაც 50 მილიონი გლეხკაცობა „მიწაზე მიკრული" წარმოადგენდა მორჩილსა და უსიტყვო ბრბოს. იგი, და უფრო-კი „საბატონო" გლეხობა, თითქმის, ყოველგვარ უფლებას იყო მოკლებული.

ახლა კი 19 თებერვლის მანიფესტმა ხალხის ცხოვრება ძირიან-ფესვიანად შესცვალა. დაიწყო ახალი ისტორია, ვინაიდგან 50 მილიონი მოქალაქე, (მათ შორის 22 მილიონი „საბატონო გლეხი" იყო) მიემატა სახელმწიფოს: გაჩნდა 50 მილიონი ახალი თავისუფალი მომუშავე...

ამგვარად ბატონყმობის, ანუ როგორც რუსები ამბობენ „კრეპოსტნიკობის" მოსპობა უნდა ჩაითვალოს რუსეთის ისტორიაში ერთ უდიდეს რეფორმად მე 19 საუკუნისა. ეს ისეთი დიადი ხანა იყო, რომელიც ხალხის ხსოვნიდან არაოდეს არ ამოიშლება.

რუსეთში მანიფესტი გამოაცხადეს 1861 წ. სამი წლის შემდეგ—1864 წ., მთავრობის განკარგულებით, საქართველოშიც განთავისუფლდა ბატონყმობისაგან გლეხკაცობა...

ბატონყმობა, როგორც იურიდიული დაწესებულება, არ შეადგენს მხოლოდ რომელიმე ერის თვისებას. საზოგადოთ, კაცობრიობის ცხოვრებაში იგი ერთი უდიდესი ნაკლია, შავი ლაქა. ბატონყმობა ის სამარცხვინო წყობილებაა, რომელიც ადამიანს სულს უხუთავდა და გულს უტკივებდა; იგი ზნეობრივად ამცირებდა როგორც მონას, ისე მის ბატონს. სამწუხაროდ, მთელმა კაცობრიობის გლეხკაცობამ გამოიარა ეს ბატონყმური ხანა. ამ დროს მუშა ხალხი—ეს ნამდვილი საძირკველი ყოველი სახელმწიფოსი, მოკლებული იყო ადამიანურ უფლებებს. გლეხი არ ითვლებოდა თავისუფალ არსებათ, იგი იყო მონა; მას არ ჰქონდა მიზანი საკუთარი ცხოვრებისა, იგი იყო ნივთი და არა ღვთის მზგავსი არსება.

ბატონყმობა, როგორც მეცნიერებამ გამოარკვია, უნივერსალური მოვლენა ყოფილა. იგი იყო გამეფებული ყველგან: დასავლეთ ევროპაში, რუსეთსა და აზიურ ქვეყნებში. ასეთი იურიდიული დაწესებულება არსებობდა ჩვენ საქართველოშიც.

საზოგადოთ, ბატონყმურ ხანაში ყველაზე საშინელ მდგომარეობაში იმყოფებოდა ეგრეწოდებული „საბატონო" გლეხი. მთელი მამული ბატონის საკუთრება იყო. გლეხი მის მიწაზე შრომობდა, ღვრიდა ოფლსა და სარჩავი კი ბატონსა რჩებოდა. არათუ მიწა, თვით გლეხის შრომაც შეადგენდა მებატონის საკუთრებას. ერთი სიტყვით, ყმისა, ძველი კანონების მიხედვით, ყველა ბატონისა ყოფილა. ამით სარგებლობდა ბევრი მადაშლილი ბატონი და ტყავს აძრობდა დაბეჩავებულ გლეხს. ასე იყო ყველგან და ამ მხრით არც საქართველო წარმოადგენს გამონაკლისს. საქართველოში, მაგალითად, მე 18 ს—ის შუა რიცხვებში ყოფილა ერთი გერმანელი მოგზაური და მან ასე დაახასიათა წოდებათა ურთიერთობა: „საქართველოში გლეხი იმდენად ღარიბია, რამდენ დაც მისი ბატონი ხარბია".

ფაქტიურად ჩვენშიაც არა ყოფილა სანუგეშო მდგომარეობაში საბატონო გლეხი; მაგრამ რომ ჩაუკვირდეთ ქართულ კანონებს, აშკარად დაინახავთ, რომ ძველ საქართველოში ბატონყმობას საერთოდ არ ქონდა ისეთი სასტიკი და ულმობელი ხასიათი, როგორც ამას ვხედავთ ზოგიერთ ქვეყანაში.

ავიღოთ, მაგალითად, რუსეთი, სადაც რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში არსებობდა „კრეპოსტნიკობა". ბატონყმობა ჩვენში არ წააგავს ამას. რაშია განსხვავება? აი რაში:

რუსეთში საბატონო გლეხი არათუ მოკლებული იყო მოქალაქობრივ უფლებას, იგი იყო ამავე დროს „მიწასთან მიკრული" (прикрѣпленъ къ землѣ). მან მე 17-ს—შივე დაკარგა უფლება სხვაგან გადასვლისა; ამგვარათ, კრეპოსტნიკობა თითქმის უდრიდა მონობას. ჩვენში კი, ქართული კანონების მიხედვით, ბატონყმობას უფრო ზნეობრივი ძალა ჰქონდა, ვიდრე სავალდებულო. ბატონი ჩვენში არ იყო სასტიკი დესპოტი. უმეტეს შემთხვევაში ბატონისა და გლეხის ურთიერთი დამოკიდებულობა ნებაყოფლობითი იყო. ქართველ გლეხს შერჩა უფლება სხვაგან წასვლისა. შეიძლება, ფაქტიურად ყველგან ეს ასე არა სრულდებოდა და ზოგიერთი ბატონი ძალასაც ხმარობდა გლეხზე, მაგრამ ასეთი მოვლენა კანონის დარღვევათ ჩაითვლებოდა.

ვნახოთ ახლა, რას ამბობენ ვახტანგ VI-ის კანონები საბატონო გლეხის შესახებ: თავდაპირველად ბატონს არა აქვს უფლება გლეხს წაართვას ის, რაც მას კანონით არ ეკუთნის და თუ ბატონმა ჩადინა რაიმე უკანონობა, იგი დაუსჯელად არ დარჩებოდა. ბატონს არ ქონდა უფლება მოეკლა ან დაეჭრა თავისი ყმა. და თუ ყმას მოკლავდა, უნდა გადაეხადა ჯარიმა. ყმას ჰქონდა უფლება ერთი ბატონისაგან მეორესთან გადასვლისა. ყმას შეეძლო აგრეთვე თვითონ გამოესყიდნა თავი. გარდა ამისა, კანონი აძლევდა გლეხს უფლებას—ბატონზე საჩივარი შეეტანა მეფესთან, თუ კი ამისი საბუთი ჰქონდა. აქ, გაზეთის ფურცლებზე, მე არ შემიძლია დაწვრილებით ჩამოთვალო ყველა ის მუხლი, რომელიც ახასიათებს ჩვენ წოდებათა ურთიერთობას. დაწვრილებით განხილვას ამის შესახებ კვლავ დავუბრუნდებით; ახლა კი ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ჩვენი კანონების მიხედვით, გლეხი არც ნივთი იყო და არც მიწაზე მიკრული. იგია პიროვნება, ზოგიერთ უფლებით აღჭურვილი.

ეჭვს გარეშეა, რომ ძველ საქართველოშიც, ბატონყმობის დროს, საბატონო გლეხის მდგომარეობა მძიმე იქნებოდა, მაგრამ კანონების მიხედვით ამ ბატონყმობას არ ჰქონია სასტიკი ხასიათი. შემიძლია თამამათ ვსთქვა, რომ ქართველი კანონმდებლები, ჰუმანიური აზრით გამსჭვალულნი, მუდამ ცდილობდენ ყმათა ცხოვრების გაუმჯობესობას და თუ თავის იდეალს ვერ მიაღწიეს, ეს მათი ბრალი კი არ არის, არამედ იმ აუტანელ ცხოვრებისა, რომელიც დადგა კანონმდებელთა დამოუკიდებლად.

მაშ ჩაუკვირდეთ ამ ცხოვრებას და ვნახოთ, რამდენად სრულდებოდა ხოლმე „კაცთმოყვარე" კანონმდებელთა დებულებანი.

სამწუხაროდ ჩვენდა, პრაქტიკა ცხოვრებისა წარმოგვიდგენს არა სანატრელ სურათს: ბატონების თვითნებობა და ძალმომრეობა ნელ-ნელა ართმევდა გლეხს ყველა იმ უფლებას, რომელიც კანონმა მას მიანიჭა. ეს მოვლენა ადვილი გასაგებია, თუ გავიხსენებთ წარსულ დროთა უბედურ ვითარებას. ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური სხეული შეირყა და მეფის უფლება ფეოდალების წყალობით ძალიან დასუსტდა. ბატონთა უკანონობისა და თავგასულობის ძირითადი მიზეზი იყო ცენტრალური ორგანოს უფლებების დამცირება და დასუსტება. წლითიწლობით ამის გამო წოდებათა ურთიერთობა არა სასურველ ხასიათს იღებდა. კანონის ძალით, მაგალითად, ბატონს უფლება ჰქონდა თავის ყმის მხოლოდ დაშინებისა; ნამდვილათ კი ზოგიერთი ავი ბატონი ამით არ კმაყოფილდებოდა და თავის ყმას ჯოხით ცემა დაუწყო, შემდეგ ხომ რუსული „როზგიც" მას მიეშველა. ბოლოს იქამდი მივიდა საერთოდ საქმე, რომ საბატონო გლეხის ცხოვრება პირდაპირ აუტანელი გახდა.

რუსეთთან შეერთების შემდეგ ჩვენი წოდებათა ურთიერთობა უფრო და უფრო გამწვავდა. ამ დროს ქართველ თავად აზნაურობას მოაკლდა ის ძალა, რომელიც წინად ჰქონდა: იგი მაშინ ომობდა და ქვეყნის გამგეობაში იღებდა მონაწილეობას; ახლა კი ეს საქმე მოაკლდა; სამაგიეროდ მან მალე გაიჩინა ახალი საქმე, უფრო „ადვილი და საამური". უმაღლესმა წოდებამ დაიწყო ქეიფი, დროს გატარება და ფულების ფლანგვა. მერე საიდან შოულობდა ფულს? რასაკვირველია, გლეხებისაგან. გლეხებს ერთი-ათად მოემატათ გადასახადები და მეტად გაძნელდა ბატონისადმი სამსახური. საბრალო გლეხკაცობა მოიკაკვა წელში და არ იცოდა, რა ექნა.

აი მის ასეთს მძიმე მდგომარეობას სამუდამოდ ბოლო მოუღო ალექსანდრე II-ს მანიფესტმა. წკრიალა ზარივით გაისმა მთელ საქართველოში ამ მანიფესტის ხმა. ზნეობრივად დატანჯული და ნივთიერად დაღარიბებული გლეხკაცობა ეღირსა, რო-

გორც იქნა, თავისუფალ ცხოვრებას, თავისუფალ შრომას. „გამოისახე პირჯვარი, მართლმადიდებელო ხალხო,—ეწერა სხვათაშორის მეფის მანიფესტში—და ჩვენთან ერთად მოიწოდე ღვთის კურთხევა შენ თავისუფალ შრომაზე, რომელიც არის საწინდარი შენი ოჯახის კეთილდღეობისა და საზოგადო სიკეთისა“...

ამგვარად გაჰქრა მონობის ხანა, სამუდამოთ მიიმალა წარსულ საუკუნეთა სივრცეში. ქართველმა გლეხმაც ამოისუნთქა თავისუფლად, ვინაიდან იგი შეიქნა ნამდვილ მოქალაქედ და პიროვნულ თავისუფლებით აღჭურვილ არსებათ.

ამ მოქალაქობრივ უფლებას მოსდევს ბუნებრივად ნამდვილი პოლიტიკური უფლებების შეძენაც. იმპერატორ ნიკოლოზ II-ს ინიციატივით უკვე მუშაობს სახელმწიფო სათათბირო, სადაც იკრიბებიან ხალხის წარმომადგენელნი. ეს დასაწყისია დიადი საქმისა. ნეტარი დროც მალე დადგება რუსეთში: ამოვა დიდებული მზე და თავის ძლიერი სხივებით გაანათებს არემარეს... ბრწყინვალე დღე აჯობებს ღამეს... ეს ყოველგან ასე ყოფილა და ჩვენშიაც, იმედია, ასე იქნება...

**ალ. გარსევანიშვილი.**

# სურათი

(ა. ნ. მაიკოვისა)

**(1861 წლ. 19 თებერვლის შემდეგ).**

აგერ ხედავ? გლეხის ქოხში
ოდნავ ბჟუტავს ცეცხლი მკრთალი,
და შეკრებილ ხალხის შუა
ზის პატარა გლეხის ქალი.
მას უჭირავს ხელში წიგნი,
ძლივს ცნობილობს დაბეჭდილსა
და უკითხავს თით დადებით
ხალხს, იმ ქოხში შეკრებილსა.
გლეხნი წყნარად მოისმენენ,
ღრმა ფიქრებით აღვსილები,
ხანდახან კი დედებს სთხოვენ
გააჩუმონ თვის შვილები.
დედებიც მათ ძუძუს სჩრიან
რომ გაჩუმდენ, არ იტირონ,
და თვითონაც წაკითხულის
ცოტა რამე მოისმინონ...
თვით ბაბუაც, სარეცელზე
დიდ ხანს მწოლი,—თითქმის მტერი,—
საწოლიდამ ყურს მიაპყრობს,
თუმც არესმის არაფერი.
რათ უგდებენ ყურს პატარას?
ნუ თუ ყველას ჭკუითა სჯობს?!
არა! იგი მთელს სოფელში
ერთად-ერთი წიგნს კითხულობს.
და აუწყა მან ამბავი
გლეხებს მეტათ გასახარი:
„დაემხოთ ბატონ-ყმობა“ —
ამბავია სანუკვარი!
თუმც ამ ამბის დედა-აზრი
ყველასათვის ბნელი არი,
მაგრამ გრძნობენ ახალ დროის
გამოუჩნდათ მათ ცისკარი.
იგი, ძმებო, თვისი სხივით
სამუდამოთ მოსპობს ბნელსა,
და იხილვენ თქვენნი შვილნი
თვისი თვალით სინათლესა...
დაე, კიდევ ბნელი იყოს!
მოვესწრებით დღეს მძლეთ—მძლესა,
შორს მჭვრეტელი თვალით ვხედავ
მის პირველ შუქს ბრწყინვალესა.
და ეს შუქი ზედ დანათის,
ჭკვიან ბავშვის თავს და თვალებს,
რომ დამჯდარა შუა ადგილს
და უკითხავს წიგნსა გლეხებს.
აზატობა თქვენთვის ძმებო,
საფეხური არს პირველი:
მას თან მოსდევს ჭაზრთ სამეფო
და მზე დაუსრულებელი.

**ილ. ფერაძე.**

# ბატონყმობა ჩვენში და რუსეთში.

ჩვენი დიდებული მგოსანი და პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე, ქართული პედაგოგიკის დამფუძნებელი იაკობ გოგებაშვილი, ქართული სიტყვიერების გამოჩენილი სპეციალისტი ა. ხახანაშვილი და ქართულ სიძველეთა მკვლევარი თ. ჟორდანია იმ აზრის არიან, რომ რუსეთთან შეერთებამდის ყმის მდგომარეობა საქართველოში უმჯობესი იყო შედარებით, ვიდრე რუსეთშიო.

ნოე ჟორდანიას აზრით კი საქართველოს რუსეთთან შეერთება მოასწავებდა ყოველი მხრით უარესი მდგომარეობიდან გადასვლას უკეთეს მდგომარეობაში. თითქმის იგივე დედააზრი უდევს საფუძვლად ს. ავალიანის კეთილსინდისიერ თხზულებას: „სოგლეხო საკითხი ამიერ-კავკასიაში“.

ვფიქრობ, რომ ეს ორი სხვადასხვა აზრი იმის შედეგია, რომ მკვლევარნი სხვადასხვა მხრით უყურებენ საგანს.

ერთი რამე კი არის უეჭველი: რამდენიმე ათი წლის განმავლობაში ახალ მთავრობას არავითარი წეს-რიგი არ შეუტანია ბატონყმურ ურთიერთობაში, რადგან ბატონებს ძველი, ქართული უფლებაც ეჭირათ ხელში და რუსულიც, და, მეორე, მათი ფაქტიური ბატონობა მთავრობის დახმარების წყალობით კიდევ უფრო გაძლიერდა და გაიზარდა.

მართალია, შემდეგ მცირეოდნად მოწესრიგდა ეს დამოკიდებულება და 1847 წლიდან, როდესაც კავკასიაში ახალი სამოქალაქო მართვა-გამგეობა შემოვიდა, ბატონს აღარა ჰქონდა უფლება გაეყიდა გლეხი უმამულოდ, გამოსყიდულ ტყვეს ეძლეოდა თავისუფლება და სხ. მაგრამ მეორე მხრით უფლება ბატონისა მამულზე კიდევ უფრო გააძლიერეს, ამ მის უფლებას ვერავითარი მთავრობა ვერ შეეხებოდა, ის ამ მხრით სრული პატრონი შეიქნა. (იხ. ხსენებული წიგნი ს. ავალიანისა).

უფრო დიდი მნიშვნელობა კი, რასაკვირველია, პირველ ფაქტს ჰქონდა, რადგან, კიდევაც რომ უმჯობესი ყოფილიყო ქართველი გლეხის იურიდიული მდგომარეობა მეცხრამეტე საუკუნის პირველ სამოც წელს, ვიდრე წინად (თუმც, არ ვიცი, განა უარესი შესაძლებელი-ღა იქნებოდა!!),

ნამდვილად მისი სოციალური მნიშვნელობა დაქვეითებული იყო.

ვიცი მკითხველს პარადქსად მოეჩვენება ეს აზრი და გაკვირვებული მკითხავს: როგორ შეიძლება დამონებული წოდების ერთსა და იმავე დროს იურიდიული ამაღლებაცა და სოციალური დაქვეითებაც?!

აი როგორ. მართალია, ბევრი უსამართლობა და დიდი უწესრიგობა სუფევდა ძველად

ზოგიერთი ზნედაცემული ბატონი ყმებს ფულად ყიდდა გარედ, გამოსყიდულ ტყვეს მონად იხდიდა, ურჩსა და თავხედ მონას პირუტყვივით აწამებდა და სხ., მაგრამ ბევრი ისეთიც იყო, ძმური დამოკიდებულება, რომ ჰქონოდა ყმასთან.

რად? მიტომ რომ სხვა ღონე არა ჰქონდა. ცენტრალური მთავრობა მას ვერ დაიფარავდა და, ვისაც მეტი მეგობარი ყავდა გლეხთა შორის, ის უფრო უზრუნველყოფილი და გამარჯვებული იყო მაშინდელ საყოველთაო ბრძოლაში.

საზოგადოდ, გლეხთა უმეტესობა, შედარებით, მაშინ უფრო დამოკიდებული და თავისუფალი იყო, ვიდრე შემდეგ შეიქნა.

ეს თვით ვახტანგის კანონებიდანაცა ჩანს. რაც შეეხება იმას, მკვლევართ რომ აზნაურთა მხეცობისა და სიბოროტის მაგალითები მოაქვთ, განა ჩვენს განათლებულ დროში ცოტაა მხეცი და ბოროტი ადამიანი?! დიახ! არა კმარა მარტო ცუდი მაგალითების ამოკრება ისტორიული არქივიდან: არც კარგ მაგალითებსა და ამბებს უნდა აუარონ გვერდი!

და ობიექტიური, პირუთვნელი მკვლევარი, უეჭველია, ჩვენს ისტორიულ წარსულში ავ-მხარეებს გარდა ბევრ კარგსაც დაინახავდა!

მერე კიდევ! თვით ის ფაქტი, ჩვენში რომ ბატონ-ყმური დამოკიდებულება დაკანონებული არ იყო, მოწმობს იმას, რომ ყმა არ იყო სრულად დაბორკილებული და დამონებული. და სწორედ ეს უკანონობა იყო იმის თავმდები, რომ ყმას უფრო ადვილად შეეძლო მოეპოებია თავისუფლება.

ქართველმა გლეხობამ არ დააკანონებია თავად-აზნაურობას თავისი ყმობა, რადგან ამგვარი დაკანონება—მონობის განმტკიცებისა და საუკუნოდ ქმნის მომასწავებელი იქნებოდა. ამასვე მიეწერება, ვახტანგის კანონებიც, რომ შედარებით, ჰუმანიურია.

მართალია, ბევრი რამეა შეუფერებელი ძველ ქართულ კანონმდებლობაში, მაგრამ, ცხოვრებაში დაწერილ კანონებზე ჩვეულებას, ადათს, მეტი მნიშვნელობა ჰქონდა!

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში კი დაწერილი კანონები და დებულებანი— საყოველთაო ლაგამს წარმოადგენდენ. ცხოვრება მოწესრიგდა მონობის საფუძველზე. ზოგიერთი უსამართლობა მოისპო, მაგრამ თანვე მოისპო ის თავისუფლებაც, რომელიც გლეხთა უმეტესობას წინად ფაქტიურად ჰქონდა. ცხოვრება დაწერილ დებულებათა კალაპოტში მოემწყვდა და აღარავის შეეძლო მონობის უღლისათვის თავი დაეღწია და, რბილი და ლმობიერიც რომ ყოფილიყო ბატონყმური დამოკიდებულება, მისი ამგვარი გაყინვა და საუკუნოდ გარდაქცევა, უეჭველია, მაინც დიდი უკან დახევა იყო.

მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო, რომელსაც აქ არ შევეხები, ახალმა სიომ დაჰბერა და ბატონყმობა, ჯერ კიდევ ფესგაუმაგრებელი და რყეული ქართულ ნიადაგზე, უცებ აღგავა დედამიწის ზურგიდან. და თავისუფლების ეს პირველი საფეხური გულში იმედს გვისახავს, რომ მას მეორე საფეხურიც ზედ მოჰყვება. მხოლოდ მაშინ განახლდება ჩვენი ცხოვრება.

**ვასილ წერეთელი.**

# ბატონ-ყმობა და სიტყვა კაზმული მწერლობა.

(მოკლეთ).

„ვინც პირველად შემოღობა თავისუფალი ნაწერი მიწის, დაჰკრა პირველი ბარი და სთქვა: ეს ჩემიაო, იგი არის პირველი მტერი კაცობრიობისა, იგი არის პირველი, რომელმაც ბატონ-ყმობა დაარსაო“.

ამბობს ჟანჟაკ რუსსო. მართლადაც, მთელ ქვეყანაზე ბატონ-ყმობის საფუძველი არის ქონებრივი და გონებრივი უსწორ მასწორობა.

ქონებრივმა უსწორმასწორობამ შექმნა უფლებრივი უსწორმასწორობაც, ერთი **გააბატონა**, მეორე გააყმავა, **დაამონავა**, ერთს (ბატონს, მიწის, ქონების პატრონს) მიანიჭა ყოველივე უფლება, — მეორეს (ყმას, მონას, მიწის მუშას) დაუტოვა მხოლოდ **მოვალეობის ღსრულება**.

ასე იყო ევროპაში, ასე იყო რუსეთში, ასე იყო ჩვენში, საქართველოშიაც.

მაგრამ გავიდა დრო, დადგა მეცხრამეტე საუკუნე. გავრცელდა ვაჭრობა მრეწველობა, განათლდა ხალხი, გაუმჯობესდა მეურნეობა, გართულდა ცხოვრება.

ცხოვრების გართულებამ შრომის განთავისუფლება მოითხოვა. თვით მებატონეები დარწმუნდენ, რომ თავისუფალი მუშა უფრო ბეჯითი და მუყაითი იქნებაო და დაიბადა პირველი აზრი ბატონყმობის გადაგდების შესახებ.

ეს აზრი, თითქმის, ერთსა და იმავე დროს დაიბადა როგორც მთავრობის წრეებსა, ისე საზოგადოებასა და მწერლობაში. ამას ხელი შეუწყო საფრანგეთის მწერლობამ, რომელიც იმ დროს ხმამაღლა ქადაგებდა ძმობა-ერთობას.

ახალი აზრების გავრცელებას ხალხში, მოჰყვა თვით ხალხის ღელვაც.

ყირიმის ომმა სავსებით გამოამჟღავნა რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრების უვარგისობა, მოხელეებისა და მებატონეების ბოროტ—მოქმედება. რუსეთის სახელმწიფოებრივ მდგომარეობას საფრთხე მოელოდა.

მოგეხსენებათ, რომ მწერლობა სარკეა ცხოვრებისა და რუსეთის მაშინდელ ცხოვრების მღელვარება გამოკრთა მწერლობაშიც.

ჯერ ისევ სახელოვანმა რადიშჩევმა ჩამოჰკრა პირველი ზარი ბატონყმობის მოსასპობად ხალხის მოწვევისათვის. მისი აზრი და იდეალები კიდითი კიდემდე მოედვა მთელ რუსეთს, ჩასწვდა გულში მშრომელ ხალხს და ზეცისკენ აახედა.

40—50 წლები ხომ ერთი გაუბედავი, ჩუმი, მაგრამ მედგარი პროტესტია მონობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ.

ტურგენევისა და გრიგოროვიჩის თხზულებანი („Записки охотника“ და „Антонъ Горемыка“) ყუმბარასავით აფეთქდენ საზოგადოებაში და ხალხის კეთილის სურვილით გაჟღენთილი ჰაერი შეარხიეს.

ჩვენში ბატონყმობის წინააღმდეგ. პირველად ხმა ამოიღო დანიელ ჭონქაძემ. მისი „სურამის ციხე“ სამარეა ბატონყმობისა.

დანიელ ჭონქაძეს მოჰყვენ ილია ჭავ-

# ოსმან-აღა.

ნაწყვეტი „სურამის ციხ.“-დან.

იყავ ლეში
იეზუიტთა კანონი,

— ყმაწვილო, თქვენი სახელი?

— დურმიშხან.

— დიახ დურმიშხანი, საარაგვოზე გივლიათ როდისმე?

— არა, არსად.

— მაშ შენ არ გინახავს ერთი მშვენიერი ქვეყნის კუთხეთაგანი, ჩემთვის მაინც! ამ საარაგვოზედ, ზედ არაგვს პირზა, ბორდორნას და ნაოზას შუა, არაგვის გაღმა არის სოფელი გ. ეს სოფელ თითონ პატარა სჩანს დიდი თავის ვენახებით. ამ სოფელში, რომელიც არის სახასო, იდგა მამა-ჩემიცა, ჩემ საუბედუროთ ბატონის ყმა, თითონ მხნე, მყოლელი ყევარი ხარ-კამეჩისა და რამდენიმე მწველელი ძროხისა; ეგრეთვე მქონებელი სამი დღის ვენახისა. მამაჩემი ირიცხოდა თავკაცად ჩვენ სოფელში და არა დავა ანუ სხვა რამე შესახები სოფლისა არ გადაწყდებოდა ჩვენ მეზობლებში, რომ არ დაჰკითხებოდნენ ზალიკას,—ეს იყო მამიჩემის სახელი. ახ, რა იყო ის დრო! რა კმაყოფილებით დავუჯდებოდი ხოლმე მე უღელზე და უზრუნველად დავსძახოდი ოროველას, წავიდა ის დრო,—დრო უმანკოებისა, ჟამი წმიდისა სინიდისისა და ის ყმაწვილი, რომელსაც გუთნის-დედა უბძანებდა ხოლმე ოროველას მღერას და ამხანაგები შურით ისმენდენ იმის სიმღერას, არის ოსმალოს იანიჩარის ასის თავი, მქონებელი დიდის სიმდიდრისა, მაგრამ გასვრილი ქრისტიანის სისხლში. ახ, სიხარულით დავანებებდი თავს ყოველსავე ეხლანდელს სიკეთეს ჩემსა, რომ შეიძლებოდეს მობრუნება უწინდელი ჩემი დროსი, იმ დროსი, როდესაც ვიყავი ხოლმე დღის მეხრე და ვიღებდი ერთ ალოს. მაგრამ ბევრს ხანს არ გასწია ამგვარმა ბედნიერებამ ჩვენმა. ერთხელ მამაჩემი წავიდა ძნის მოსატანად, უნდა ჩამოეტანა ძნა თავდაღმართზე, ჩვეულებისამებრ მოუძღოდა ის ურემს წინ, რო არ დაქანებულიყო, მაგრამ ურემი დაქანდა, ხარ-კამეჩს თავი ველარ დაუჭირა, კამეჩებმა წააქციეს და ურემმა გაჰქლიტა. იმის სიკვდილის შემდეგ ჩვენი სახლის ყოველივე გადაბრუნდა გულაღმა. ბატონმა ჯერ წაგვართო ვენახი, იმიტომ ვითომც, რო აღარ შეგვეძლო მოვლა, მერმე თითო-თითოდ ხარ-კამეჩი, და უკანასკნელად უბრძანა დედაჩემს, რო გადასახლებულიყო იმასთან სახლის მოსამსახურეთ. საწყალი დედა-ჩემი უნდა გენახა, რა მწუხარებით ესალმებოდა სახლს! ღმერთო, რაგვარათ არ ეხვეწოდა საწყალი ბატონს, რო დაენებებინა თავი და არ მოეშალა ოჯახი, მაგრამ ბატონს ვითომ არ ესმოდა.

იტირებს, იტირებს და დაყუჩდებაო,— აი აზრი მებატონეთა; იმათ ჰგონიათ, რო ჩვენ კაცნი არ ვიყვნეთ, ჩვენ არ შეგვეძლოს სიყვარული და სიძულე, იმათ ჰგონიათ, რო ჩვენ არა გვაქვს გული, არ გვქონდეს სჯა.

— დედაშვილობას, აგრემც ღმერთი გიცოცხლებს შვილებს, შენი ღვთის გულისთვის, დამანებე თავი, დამანებე თავი,—ეხვეწებოდა დედა-ჩემი. რა მოსამსახურე უნდა ვიყო, მე თქვენი ბატონური ცხოვრებისა არ ვიცი. ჩემი შვილები აქედან უფრო გემსახურებიან, რასაც მოვიყვანთ სულ შენ მოგართმევთ, ჩვენ ნაცარსა ავფშრუკამთ და იმას ვჭამთ, ოღონდ ნუ მოგვიშლი ოჯახს. საწყალო ჩემო შვილებო!—და იმან მიგვიკრა გულზე იმ გვარათ, თითქოს ის იყო გვდებდნნნ სამარეში.

— ეჰ! დედაკაცო, მე არ მიყვარს ბევრი ლაპარაკი, ხვალვე მზათ იყავი,—უბრძანა ბატონმა და გაიცინა იმიტომ, ერთმა წევარმა რაღაც სასაცილო ქნა.—ოჰ! რა საზარელი იყო ის სიცილი დედიჩემის მწუხარებასთან. მე დარწმუნებული ვარ, რო მაშინ არ იცინოდა კაცი, კაცში იცინოდა ეშმაკი. იმისთანა დროს, მხოლოდ ეშმაკს შეუძლია გაცინება.

რაღა მოგაბეზრო თავი ბევრი ლაპარაკით: მეორე დღეს ჩაგვყარეს ურემში და მიგვიყვანეს ბატონთან. ქალბატონთან რო წაგვარდგინეს იმან გაგვშინჯა და გვიბრძანა, რომ მე და ჩემი და,—ერთი დაცა მყავნდა მე, მე და ჩემი და უნდა ვყოფილიყავით პირის მოსამსახურეთ, დედა-ჩემს კი უბრძანა ყოფნა პურის მცხობლად. ასე გავატარეთ დროება თითქმის ხუთი წელიწადი. თვითონ მოსამსახურე, შენ იგრძნობ, რანაირ დავიტანჯებოდით იმ სამსახურში? მაგრამ ამბობენ კაცი ჯოჯოხეთსაც შეეჩვევაო, ჩვენც შევეჩვიენით, ჩვენ ცხოვრებას და თითქმის ვიყავით იმითი კმაყოფილი, იქნება იმიტომ რომ უარეს ცხოვრებას მოველოდით.

ერთხელ მოვიდა ჩემ ბატონთან ერთი მღვდელი კახეთიდგან. ვახშამზე რომ ვემსახურებოდი მათ, იმ მღვდელს ჩემმა ბატონმა თვალით აჩვენა ჩემზე, მღვდელმა ამხედა, ჩამხედა და ბატონს დაუწყო რაღაც ლაპარაკი ჩუმათ. არ ვიცი რათა, მაგრამ სტუმარმა რომ დამიწყო ყურება, ჟრუანტელმა დამიარა ტანში და ამეშალა თმა. გულმა იგრძნო, რომ ჩემ თავს მოელოდა რაღაც უბედურება.

მეორე დღეს ბატონმა დაიბარა დედაჩემი და უბრძანა, რომ მოვემზადებინე მე და ჩემი და იმ მღვდლის გასაყოლათ.

— რათა, შენი ჭირიმე?

— რათა? გავყიდე და იმიტომ.

რასაკვირველია ეს გამოცხადება მივიღე ისე, ვითომც მცოდნიყოს და შევჩვეოდე იმ აზრს და, რაკი აღარ გამიკვირდა, დედაჩემმაც არ დაიწყო ტირილი. მხოლოდ შებარბაცდა ცოტათ და მე დამიჭირა თავი და გულზე მიმიკრა. ხელებზე შევატყე, რომ ჰქონდა ცივი ყინულივით და უკანკალებდენ.

შემდგომ რამდენიმე წუთისა დედა-ჩემი დაემხო მიწაზე და დაუწყო ხვეწნა ბატონს, ისე, როგორც შეუძლიან შეხვეწნა დედას, რომელსაც საუკუნოთ ართმევენ შვილსა. ბატონმა უბძანა ბიჭებს, რომ გაეგდოთ ის კარში. დედაჩემი ადგა და გამოვიდა. მხოლოდ ჰკითხა ბატონს საროდითი მოვემზადებინეთ. ბატონმა უბრძანა, სახვალიოთაო.

იმ ღამეს, შუაღამისას, როდესაც სულ ყველამ დაიძინა, დედაჩემი ადგა, ჩუმათ გამოღვიძა და შემდგომ დარიგებისა სად მომეცადნა, გამგზავნა კარში. ცოტა ხანს უკან გამოვიდა ჩემთან დედაჩემი ჩემი დით.

— აბა ახლა შვილებო, ვახსენოთ ღმერთი და შევუდგეთ გზას,—გვითხრა დედაჩვენმა, გადაგვწერა პირჯვარი, გაგვიძღვა წინ და გვითხრა რომ მივყოლიყავით.

ღამე იყო შემოდგომისა, ბურუსიანი და ბნელი. დედაჩემმა იფიქრა, თუ საძებნელად გამოგვიდგებოდნენ მოგვძებნიდნენ უფრო უალგო ალაგას და ტყეში და იმიტომ დაადგა ქალაქის გზას და იმაზე წამოგვიყვანა. რომ ირაჟრაჟა ჩამოვედით ღართის კარის ჰალაკში. აქ დედაჩვენმა აგვსვა ჩვენ ერთი დიდი მუხის ხეზე, რომელიც სხვებზე უფრო იყო შემოსილი ფოთლით და გვითხრა, რომ ვყოფილიყავთ იქ ჩუმათ. მთელი დღე გავატარეთ იქ და რომ დაღამდა ჩამოვედით და წამოვედით ქალაქში.

შემდგომ მე მიკვირდა რატომ ბატონი არ გამოგვიდგა მეთქი, და ან დედაჩემმა ქალაქისაკენ რათ წამოგვიყვანა და არა ფშავისკენ, სადაც დედა-ჩემს ჰყავნდნენ დედის ძმები; მაგრამ გამოჩნდა, რომ ბატონი მართლა გამოგვდგომიყო საძებნელათ მეძებრებით და ვეძებნეთ და ვეძებნეთ ფშავის გზაზედ და დედა ჩემმა მიხვდარა, რო ეს იქნებოდა, წამოგვიყვანა ქალაქს.

ქალაქს რო ჩამოვედით, ერთი კვირა ისე გაგვიძნელდა ცხოვრება, რომ კინაღამ შიმშილით დავიხოცენით. სოფლიდგან რაც ხორაგი წამოვიღეთ ის მესამე დღესვე გამოგველია და მერმე თუმცა მთხოვრობა დავიწყეთ, მაგრამ არავინ არ მოგვცა რა, ჯერ ერთი იმიტომ რომ მათხოვრობასაც თავისი ოსტატობა უნდა, რომ შეაბრალოს თავი, რომელიც ჩვენ არა გვქონდა და მეორე—არა გვქონდა იმისთანა ნაკლულევანება სხეულისა, რომ შევბრალებოდით ხალხს, მაგრამ განგება ღვთისა არსად აგდებს კაცს უნუგეშოთ. ერთ კვირას უკან დედაჩემმა დაგვაყენა ერთ ბერძენთან მოჯამაგირეთ, თითონ-კი დაიჭირა კლდის უბანში ერთი პაწაწა ოთახი და დაიწყო პურის მცხობლობა. დამავიწყდა მეთქი, დედა-ჩემმა დაირქვა სომხობა და სულ ყველას სახელები გამოგვიცვალა. თითონ დაირქვა მათუა. მე დამარქვა კარაპეტა და ჩემს დას შუშანა. ესე გავატარეთ დრო თითქმის ხუთი წელიწადი. ჩემი და გაიზარდა და მივათხოვეთ სომეხს. ჩვენც დავდიოდით სომხურს საყდარში, მაგრამ არც მე და არც დედაჩემი არა ვზიარებულვართ იმ ხუთ წელიწადში, იმიტომ რომ სომხის საყდარში არ გვაზიარებდნენ, როცა, რომ შეიტყობდნენ, ქართველები ვიყავით; ქართულ ეკლესიაში კი ვერა ვბედავდით ზიარებას, იმიტომ რომ გამოჩენისა გვეშინოდა. ერთხელ მარიამობის მარხვაში დედაჩემი ატყდა, რომ თუ არ ვეზიარე არ იქნებაო. მე ვთხოვე, რომ მღვდლისათვის არ ეთქო სრულებით თავის ჩამომავლობა. დედამ მომცა პირობა, მაგრამ ეტყობა რომ სვი-

ჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვები, რომელთაც შეაძულეს ხალხს და ახალთაობას არამც თუ ბატონყმობა, მისი უმსგავსო ნაშთებიც კი.

თვით დიდმა არისტოკრატმა გრიგოლ ორბელიანმაც კი იგრძნო ის უსამართლობა, რომელიც მუშას ატყდა თავზე და დასწერა მშვენიერი ლექსი „მუშა ბოქულაძე".

აბა ერთხელ კიდევ გადაიკითხეთ ჩვენს გაზეთში სადღეისოთ გადმობეჭდილი ნაწყვეტები ილიასი, აკაკისა, გრ. ორბელიანისა და დ. ჭონქაძის თხზულებათა და თქვენ დამეთანხმებით, რომ ასეთ სამართლიანსა და ძლიერ პროტესტს ვეღარ გაუძლებდა ვერავითარი უსამართლობა და უნდა დამხობილიყო იგი, როგორც უკვე დაემხო!..

საზოგადოთ, უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი,—ქართული მწერლობა — ყოველთვის დიდი მტერი ყოფილა ყოველგვარის უსამართლობისა და თუ ჩვენ შევისწავლეთ იგი, თუ დავიცევით ტრადიციები ჩვენის სიტყვაკაზმულ მწერლობისა, თუ გავავრცელეთ იგი ხალხში და ცალყბათ არ მოვექცით მას, თუ ღირსეულათ დავაფასეთ ღვაწლი და ამაგი, როგორც ძველი მწერლებისა, ისე ახლებისა, ჩვენთვისაც მალე გამოაშუქებს სხივები მზისა, ბედნიერებისა, კაცურ—კაცობისა და ძმობა—ერთობისა.

ი. ც—ანი.

# ბატონი და ყმა

მაგრამ მე კიდევ ბატონსა ვყვანდი,
შინ არ მითხოვდა, არ მეშვებოდა,
მე იქ სხვისთვისა ჩემს თავს ვლუპავდი,
შინ კი ოჯახი მელუპებოდა.
ერთხელ გამხდარი, გაყვითლებული,
ილაჯ ნაწყვეტი სნეულებითა
საწყალი მამა მოხუცებული
იახლა ბატონს თხოვნით, ხვეწნითა.
მხეცი რამ იყო ბატონი ჩვენი,
ერთი აჯამი, გულ-ქვა, რეგვენი,
იმას კაცებრი გული არ ჰქონდა,
რომ მამა ჩემი შებრალებოდა.
რა გავაგრძელო, თავადის შვილი
კარგი რა არის, ავი რა იყოს?!
და მამა ჩემი გულ-მოწყვეტილი
იახლა ამ გვარს უხამსსა ბატონს.
— შენი ჭირიმე,—უთხრა,—ბატონო,
სახლს ვერ გავუველ მე მარტოხელი...
დამითმე შვილი... არ დამალონო,
არ დამიღუპო ოჯახი ძველი.

ბ ა ტ ო ნ ი.

— რაო? რას ბოდავ?..

მ ა მ ა.

— შენს სადღეგრძელოდ,
ოღონდ ზაქარა შინ დაითხოვე,
რომ უკან წასულს ოჯახს ვუშველოთ,
და მერე თუნდ ჩიტის რძე გვთხოვე.
კულუხს, კოდის-პურს, გადასახადსა
ერთი ორადა მოგართმევთ შენა,
თუ დავაყენებთ ფეხზედ ოჯახსა,
არ გავექცევით სამსახურს ჩვენა.

ბ ა ტ ო ნ ი.

— ეგ რომ არ იყოს, გაექცევოდი
შენ ჩემს სამსახურს, ჩემს ბძანებასა?...
ქოფაკო!.. ნუ თუ მაგას ჰფიქრობდი,
რომ მიბედავდი ემაგის თქმასა?

მ ა მ ა.

— არა მქონია მაგის ფიქრი მე,
შენი რისხვაცა არ გამიწყრება...
მაგრამ მიბრძანე, შენი ჭირიმე,
რით გემსახურო, რაც არ მექნება?
ღმერთი ხომ ჰხედავს, მე დავსნეულდი,
ღონე, ილაჯი გამიწყდა სრულებ...
მარტო ვერას ვიქმ, მთლად დავუძლურდი,
თორემ ჩემს შვილზედ არ შეგაწუხებ.
მინამ შემეძლო, სახლს ვინახავდი,
არც ღონე მშურდა და არცა ძალა,
დღე და ღამ ოფლსა მე ვიწურავდი,
მაგრამ ეხლა დრო გამომეცვალა.
აწ არაქათი გამიწყდა სრულად,
უფრო დავბერდი, ჯანი წამერთო,
ვეღარა ვუვლი ოჯახს ერთგულად,
თუმცა კი მინდა, ხომ ჰხედავ, ღმერთო!..
ოჯახი ეხლა მეღუპება მე,
კაი ოჯახი, კაი სახლ-კარი!..
ნუ! ნუ დაღუპავ, შენი კვნესა მე,
მინამ პატრონი ცოცხალი არი.
სიყრმით ჩამიკლავს მამულში თავი,
მანდ დამილევია ძარღვი და მკლავი,
გამომიზრდია ჩემის ოფლითა,
ვაი-ვაგლახით, წვით და დაგვითა.
მძიმე უღელი მე მიწევია
ჩემის სახლ-კარის და ოჯახისთვის,
ამდენი ჯაფა გამიწევია,
ნუ თუ ბატონო, ამ შავის დღისთვის,
რომ უდროო-დროდ ადრე და მალე.
მევე დავმარხო ჩემი გაზრდილი?..
ნუ იქ მაგასა, შენ გენაცვალე,
ნუ მიზამ მაგას, დამითმე შვილი!

ბ ა ტ ო ნ ი.

მერე მე ძროხა ვის ჩავაბარო?
სადღა ვიშოვნი კარგ მეძროხესა?
ვერა, ვერ მოგცე შენი ზაქარო,
თუნდ სულ დაგენთქას ოჯახი დღესა!
ვერ უყურებთ ამ ქოფაკს, ჩერჩეტსა!
მირჩევს, ჩემიო გერჩივნოს შენსას...
არა, „ერთი მაქვს სჯობს ათასს მქონდეს"...

მ ა მ ა.

— მე ჩემი მომეც, შენ შენი გქონდეს,
და შენს სახელსა მტლად დავედები.

ბ ა ტ ო ნ ი.

— გამეცა, ვირო, ნუ მეღრიჯები!

მ ა მ ა

— რომ გაგეცალო, ვისღა მივმართო,
ვინ მომაშველებს ხელს დაღუპულსა!
მარტო ოჯახი როგორ მოვმართოთ,
თუ არ დამითმო, ბატონო, შვილსა?
რა ვუყო, რა ვქნა, რა მეშველება,
მიბძანე, შენი კვნესა მე, შენი!

ბ ა ტ ო ნ ი

თუნდ სულიც გაგძვრეს, არ მენაღვლება
თავში ქვა იეც და ისა ჰქენი.

მ ა მ ა

— შე დალოცვილო, ქვა ვიცე თავში,
რა პასუხია, როგორ იქნება!...
ჩვენც ვურევივართ კაცებში, ხალხში,
ჭამა სმა გვინდა, გვინდა ცხოვრება...

ბ ა ტ ო ნ ი

— სუ!.. შე ქოფაკო!.. გაიკმიდე ხმა!.
ხმა... კრინტი მეთქი!.. ძაღლო, თორემა
მე არ მივხედავ მაგ შენს სიბერეს,
და უკან ჩაგჩრი ჯოხით მაგ სიტყვებს...

მ ა მ ა

— როგორ თუ ჩამჩრი!.. კაცს
შიმშილით მკლავ,
ცოცხალსა მმარხავ, ოჯახს მიღუპავ,
ბებერ კაცს ლუკმა პური უწყდება,
შვილსა შიმშილით მამა უკვდება,
შვილს შეუძლიან მამის დარჩენა,—
და ამის ნებას არ აძლევ შენა!..
მე ჩემ ღვიძლ შვილსა აღარ მანებებ,
რომ შემინახოს სიბერის დროსა,
მართალს სიტყვასაც არ მათქმევინებ,
ფუ, შენს სამართალს, შენს
სამსჯავროსა"!..
ეს იყო, ძმაო!... ამ სიტყვებმა ჰქმნეს
შვილის და მამის ულმრთოდ წახდენა...
შენ მეტყვი, რომ არ უნდა ვთქვა ეს,
მაგრამ რა ექმნა, აბა სთქვი შენა?
ეხვეწებოდა განა ცოტასა
იმ სულ წაწყმედილს საწყალი მამა!.
მაგრამ როგორც ცივს რკინას და ქვასა,
ვერ დაულბო, ვერ, გული ხვეწნამა.
ისიც კაცი იყო, ვერ მოუთმინა
იმედ გაწყვეტილ, მოკლულმა გულმა,
და, რაც შიგ ჰქონდა, სულ ათქმევინა,
უსამართლობამ წრიდამ გასულმა.
ჩიბუხის ტარით მამა ჩემს მტრულად
მცა ურჯულო ბატონი ჩვენი...
უნდა კი გითხრა, რომ მამა სრულად
არ გალახულა თავისი დღენი.
სირცხვილმა გული გადმოუბრუნა...
თუმცა აღარ ჰქონდა მკლავებში ღონე,
მაინც კი ხელი შემოუბრუნა,
როგორ თუ ხელი მომიბრუნავო,
„ბიჭო, როზგები, ბიჭო, როზგები!"
და მამა ჩემსა მოხუცსა, ძმაო,
წამოეჭიდნენ მისივ მოძმეები!!!
როზგით მიცემეს მამა სნეული,
მამა მოხუცი, პატივს ჩვეული...
იმისი კვნესა და მწუხარება
გულს მიკლავს ხოლმე რო მაგონდება.
არც უღონობამ, არც სიგამხდრემა,
არც სიბერემა, არც თეთრმა წვერმა,
არც კაცის და არც ღვთის სამართალმა
არ მიპატივეს ბებერი მამა!..
მაშინ იქ ვიდექ მე საცოდავი...
გულ-ამომჯდარმა წაიდუდუნა,
მერმე მწუხარემ მწუხარე თავი
ამოიკვნესა და ძირს ჩა[illegible]
წამოხტა კაკო განრისხებული,
მას აერია სული და გ[illegible]
და შეუტია მწყრალად ზაქროსა:
—შენ იქ იდექი, ამბობ, იმ დროსა,
და იქამდინა მიუშვი მტერი,
რომ აცემინე მამა ბებერი?!

მ ხ ე დ ა რ ი.

კაკო, ნუ სწყრები!
კარგად არ იცნობ ჯერ ხომ ზაქროსა?
ჩემს ტოლს ბიჭს არც მე დავუვარდები,
არც გავექცევი ხმალში კაკოსა.
ეგრე ადვილად ნუ არცხვენ ჩემა ხმალს
და იმის პატრონს ნუ მეძახი მხდალს.
ეგრე ნუ მძრახავ... მომიგდე ყური:
მინამ ბატონი ხელითა სცემდა,
როგორცა ძაღლი ხორცსა ვიგლეჯდი...
„მოჰკალ" რაღაცა ხმა მაძალებდა,
მაგრამ როგორღაც თავს ვიმაგრებდი.
მომეკლა, ვიცი მამას მოკლავდენ,
მკვდარსა თუ ცოცხალს კბილით შესჭამდენ,
ამის მიზეზი მე ვიქნებოდი,—
და არ მომეკლა, ულმრთოდ სტანჯავდენ,
ეგრე ორ ცეცხლში ვიმყოფებოდი.
მაშინ კი, როცა წამომიქციეს
და მოხუცებულს როზგი დამიკრეს,
თვალთ დამიბნელდა, ამენთო გული,
მივვარდი თოფსა გამწარებული,
მხრიდამ გადვიგდე მაშინვე თექა,
და, რო ჰყვიროდა: „დაჰკარ, დაჰკარი"!
მაშინ ჩემ თოფმაც გამოიქექა
და შეუნგრია გულის ფიცარი—
იმ ჩემს ბატონსა, ჩემს დამღუპველსა,
თავის თავის და სხვის წამწყმენდელსა.

ილია ჭავჭავაძე.

# გლეხის აღსარება.

„ხატად და მსგავსად ღვთისა ვინ ქმნილ არს,
ჭეშმარიტების მხილებაც უყვარს;
და ვისაცა სწყინს ჭეშმარიტება,
სჩანს დაუკარგავს მას ღვთის ხატება".

ოხ, დარდების ამშლელო, ჩემის გულის ხაზი ხარ!..
თავ-დახრილი მიტომ ვარ, რომ კისერზედ მაზიხარ.
დამტკბარს ვეროდეს გხედავ, ჩემთან მუდამ ბრაზი ხარ;
უჩემოდ გამრჯელი ხარ, თუ მე მხედავ ნაზი ხარ!..

რომ იცი, რაღად მკითხავ: ასე რისთვის ვლონდები?
მისთვის, ჩემო ბატონო, რომ სულ შენ მაგონდები!
პირუტყვივით მიმონებ, მფლობ და არ გეცოდები;
მაგრამ, ჩემო წამწყმედო აქ, იქ შენა ვერ ცხონდები!

სადაც შენ მაგონდები, შენ ხარ ჩემი სიზმარი;
შენ მღვდელივით სუქდები, მე ოფლად ვარ დამდნარი,
მაგრამ შენ რას დაბეძებ?! შენი ფიქრი ეს არი:
„ნეტამ ვინ გაასწორა ერთადო მთა და ბარი?!"

ამით ჩვენის კავშირის, უფლებით ხარ შემცვლელი;
ძლიერმა სუსტი მნახე, დაჩაგვრა შეიძლი!..
მაშ ახლა რაღად სწუხარ, ახალს დროს რომ მოელი?
რად არ მეტყვი: „ძმები ვართ, მოდი, მომხვიე ხელი!"

თორემ შენ ცხვირს მაჩვენებ, მე ჩამოგიყრი ყურებს,
მტერს ვინ უწინაამდეგებს, რომელიც ჩვენ შეგვყურებს?
ერთმანეთის მტერს ვეღარც მამული გვიმსახურებს
და ახალს დროს დაგვასმენს, შვილი-შვილთ მოგვამდურებს.

მაგრამ. ვაი! ეს სიტყვა, შენ როგორღაც გემწარა,
მეუბნები; „შენ ვინ ხარ, ვისი ტიკი ტომარა?"
მაგრამ, ჩემო კეთილო, იფიქრე, ნუ სჯი ჩქარა
და მაშინ აღიარე—მართალს ვამბობ, თუ არა?!.

ა კ ა კ ი.

# მუშა ბოქულაძე.

(ნაწყვეტი).

რას მიყურებ აგრე გაკვირვებითა,
ნუ თუ სახე არ გინახავს მუშისა?
მკერდი ღია, ოფლით გასვრილ, მტვრიანი
ფერით რკინა, კისერ ჩაჟანგებული,
კაცი გულით დაჩაგრული ბედითა,
სიყრმიდანვე სიღარიბით დევნილი,
ვის სიცოცხლე ტანჯვად გადაქცევია
შოვნისათვის მხოლოდ ლუკმა-პურისა!..
ან რად გიკვირს? ჩემს შუბლზედა ღარები,
წვერ-ულვაში უდროდ გათეთრებული
ნიშანია გულში ღრმათა ტკივილთა,
დიდთა შრომათ, ღრმათ ფიქრებთა მწარეთა,
უიმედოდ, უნუგეშოდ ყოფნისა!..
სჩანს, არ იცი, რომ, არიან ღარიბნიც
არის სადმე სიმწარითა ცხოვრება!..

---

ნიდისს ძლიერ შეეწუხებინა, რომ ვერ გაეძლო და ეთქო სულ ყველა. იმავ დღეს, როცა თქო აღსარება, ვიღაც კაცები დაგვესხნენ, შეგვკიკრეს ხელები და გაგვიგდეს წინ.

რომ მივყვანდით, საწყალ დედაჩემს სცხვენოდა ჩემი და თვალებით მეხვეწებოდა, რომ მიმეტევებინა იმისთვის ეს შეცდომა. საწყალი დედა!..

ბატონთან მიგვიყვანეს, იმან, შემდგომ სხვათა და სხვათა სასტიკთა ტანჯვათა, უბრძანა ბიჭებს, რომ შევებით გუთანში, დიახ, გუთანში! ისე როგორც აბამენ ხარებს. ხარის უღელი დაგვადვეს კისერზედ. მაგრამ ეს სასჯელი ბატონმა ჰპოვა სუბუქად. იმიტომ რომ გუთანში ხარები დადიოდნენ ძლიერ ნელა და ვერ დავიღალებოდით და იმისთვის მეორე დღეს შეგვაბა კევრში, კევრზე დაჯდა თვითონ და გვერეკებოდა. ცოტაც რომ დავმდგარიყავით, ამოსუნთქვისთვის, მაშინვე გველოდა სახრე. კარგა მოგეხსენება, რამდენი სირბილი შეუძლიან კაცს, უმეტესად ისე დასუსტებულს, როგორიც იყო დედაჩემი, თითქმის ათჯერ შემოურბინა კალოს ისე, რომ ერთი ჩივილიც არ ამოსვლია პირიდან. მეთერთმეტედ რომ უნდა დაგვეწყო შემოვლა, დედაჩემი უეცრად წაიქცა და მოკვდა საწყალს დედაჩემს არც კი დააცალეს მშვიდათ მომკვდარიყო. ბატონს ეგონა, რომ ატყუებდა იმას და იმიტომ სახრით დაუწყო ცემა, რომ აეყენებინა. და ასე, სახრის ქვეშ ამოუვიდა სული.

— განოუშვით ბიჭო ეგეცა, ხომ ხედავ ამხანაგი არა ჰყავს,—უთხრა ბიჭებს ბატონმა ჩემზე.

ბიჭებმა გამომიშვეს. საღამოზედ მომეცა საშინელი სიცხე, შუაღამემდე ვეწვალე საშინლად. მე მეგონა ცოცხალი ჩამაგდეს ჯოჯოხეთში მეთქი; შემდგომ შუაღამისა კი აღარა მეხსოვს რა გავხდომილიყავი ავათ შავი საოფლით. ჯერ ისევ ავათ არ ვყოფილვიყავ ვინ იყო ჩემი პატრონი, ვის სტკიოდა ჩემთვის გული, რომ საოფლეში, ამ საშინელ შესაყარ ავათმყოფობაში,—რომ ვინმე მომკვდარიყო. მაგრამ არ ვიცი როგორ, მხოლოდ სამ კვირას უკან მოვედი გრძნობას, ერთმა რეგვენმა დედაკაცმა, რომელსაც არ ესმოდა არც სიცოცხლე, არც სიკვდილი და არც ავადმყოფობა, და რომელიც თურმე მივლიდა მე ავადმყოფობაში, შემატყობინა რომ ჩემ გარდა კიდევ სხვანიც ბევრნი იყვნენ ჩვენსავით ავად, ამ ავადმყოფობით ჩემი ბატონის სახლში მოკვდა სამი კაცი; იმათში ერია ერთი პირმშო შვილი ჩემი ბატონი.

გავიდა სამი წელიწადი ჩემი მოყვანის შემდეგ. ბატონიც შემირიგდა, ვგონებ იმიტომ რომ პოვა ჩემში სასარგებლო ნივთი. და რა უნდა მოგახსენო? ეძებდა ჩემში ერთგულებას და დარწმუნებულიც იყო, რომ მე ვიყავი იმის ერდგული. ხა, ხა, ხა, ერთგულობას ეძებდა იმაში, რომელსაც დედა მოუკლა უღელში, საკვირველნი არიან, შენმა გაზდამ, მაგ გვარნი კაცნი!

მე შემისრულდა ოც-და სამი წელიწადი ამ დროს ქალბატონს ყვანდა ერთი გოგო სახელად ნატო. წაბლის ფერი გრძელი თმა, ბამბასავით თეთრი პირისახე, ცოტათ მსხვილი ტუჩები, მშვენიერი თეთრი კბილებით, ტანი შუათანაზე უფრო დაბალი და წვრილი. ნატო იყო მართლა და ლამაზი; მაგრამ რა იყო იმაში უფრო მშვენიერი ეს იმის თვალები. არ ვიცი როგორ გამოვსახო ის თვალები.

— შენ დიდხანს სხვაგან სადმე რომ ყოფილხარ და რომ მოსულხარ შეგინიშნავს, როგორ უყურებია შენთვის დედა შენს?

— მე დედა არ მახსოვს, უპასუხა დურმიშანმა.

— ჰო, უკაცრავად დამავიწყდა.

— ნატოს თვალები იყურებოდნენ ისე, ის თვალები იყვნენ ცისფერნი და ისე სავსე საიდუმლოთი, როგორადაც ცა. ის თვალები რომ შემოგხედავდნენ თითქო გთხოვდენ შეწყალებას, თითქო გეუბნებოდნენ: ახ, რა კარგი კაცი ხარ. მე ვიყავ ნატო, რომ მიყურებდა ხოლმე სწორეთ კატის მდგომარეობაში, როდესაც იმას უსობენ ზურგზე ხელს. როცა ის მიყურებდა ხოლმე ღმერთს ვეხვეწებოდი, რომ იმას ეყურებინა დიდხანს, მაგრამ საწყ ლი ნატო არ იყო იმისთანა, რომ სულ ყველასათვის ეყურებინა სხვა გომბიოებივით. მე დარწმუნებული ვარ, ბუნება შეცდენილიყო, როდესაც ის დაებადა მოსამსახურეთ, და ჩვენი ქალბატონი კი ქალბატონათ.

ერთხელ მე და ნატო ერთად ვიყავით ქალბატონის ოთახში. ქალბატონმა, რაღაზედაც გაჯავრდა, ნატოს უბრძანა მოტანა რაღაცის. ნატო გაიქცა მოსატანათ, მაგრამ ის ნივთი ვერ იპოვნა დროზედ.

— ოჰ, შე მამაძაღლო; ოჰ შე უნამუსო, შეუტია ქალბატონმა ნატოს, რომ მოვიდა —ნეტავი საჭმელი იყოს, რომ ჩქარა იპოვნო. რაზე ვეჭმევი ამ აზარქლებს, რაზე ვაჰლექინებ თავს! გაგყიდი შე უნამუსო, აღარ შემიძლია შენი გაძლება.

— ქალბატონო მაპატივე, შენი ჭირიმე დროზედ ვერ ვიპოვე ბატონის მზემ.

— შეხე, შე ამ უნამუსოს, როცა ტყუილად უნდა დაიფიცოს, მაშინვე ბატონს მივარდება ხოლმე.

— არა ღმერთმან... და ტირილით ვეღარ დაასრულა სიტყვა.

მე ვეღარ შევსძლ ყურება და გამოველ კარში. ცოტა ხანს შემდეგ გამოვიდა კარში ნატოც.

— ნატო, ძალიან გაწუხებს ქალბატონი?—ვკითხე მე დაღონებით.

— ისე, რომ ლამის თავი მოვიკლა,—მიპასუხა იმან და დაიწყო ისევ ტირილი.

— ნუ სტირი ნატო, ღმერთი მოწყალეა, რაც გინდოდეს ხოლმე მე მომკითხე, როგორც შევიძლებ და რათაც შეგეწევი, ამის შემდეგ შენ და მე ძმა, მეც შენისთანა ობოლი და უპატრონო ვარ უნდა გენახა რა მადლობითი თვალებით შემომხედა მაშინ ნატომ.

— ჩემო ძმაო! მითხრა ნატომ, გამომართო ხელი, მაკოცა და შევარდა შინ გაწითლებული.

— მე გული ისე არ შემიკრთა, როგორც შეუკრთება ხოლმე დის კოცნაზე იმ წლოვანებაში, რომელშიაც მე და ნატო ვიყავით, ყოველივე დამმობილება გარეშე პირთა დასრულდება ხოლმე ცოლქმრობით თუ არამ დაუშალა.

შენთვის საჭირო არ არის მოგახსენო ყოველივე ბოდვა სიყვარულისა, და სწორე მოგახსენო, ეხლა ვერც კი შეიძლებ მოგონებას

კარგი ხანი რომ გავიდა ჩვენი შეყვარებისა, ერთხელ მოვახელე დრო და ვსთხოვე ბატონს ჯვარის წერის ნება

— რას მიჰქარავ ბიჭო? ჯვარის წერის კი არა მამა გიცხონდა!

— შენი ჭირიმე ბატონო!

— ვისზე უნდა დაიწერო ჯვარი?

— იმას არა გთხოვ შენი ჭირიმე ქალბატონის გოგოზე.

— ქალბატონის გოგოზე?

— დიახ.

— დიახ,—გამაჯავრა მე ბატონმა,—დ ახ, თითქო არ იყვნენ სხვა გოგოები, რომ შინაური არ მოძებნო?

— რა ვქნა შენი ჭირიმე, ეს მომეწონა და.

— რაო? მოგეწონა? მომეწონ, თითქოს ბატონის შვილი იყოს? სხვა არა მოგეწონა რა მამა გიცხონდა?

— ბატონო!...

— წადი, დაკარგე არ შეიძლება. მოსამსახურეს შინიდან არ გაუშვებ და არც შენ მოგცემ ნებას. შინ მინდიხარ

რას ვიტყოდი. შენი მტერი იყოს ისე, როგორიც მე გამოვედი ბატონის ოთახიდან. ნატო თურმე კარში იდგა და მიცდიდა რა ამბავს გამოვიტანდი, გამოსული რომ დამინახა აღარც კი მათქმევინა მე, დაიწყო ტირილი.

შემდეგ ეს ჩემი ლაპარაკი, რომლიდანაც მოველოდი ბედნიერებას, გახდა წყაროთ ჩემი უბედურებისა; აი როგორ: ჩემ ბატონს აქამდისინ ხეირიანათ არც კი შეეხედნა ნატოსთვის და თითონ ნატოც თურმე ერიდებოდა იმას; მაგრამ მე რომ ვსთხოვე იმაზე ჯვარის წერა, მაშინ გაეშინჯა და მოსწონებიყო.

ერთხელ ჩემთვის ვიჯექი და ვფიქრობდი, როგორ მომეხდინა ნატოზე ჯვარის დაწერა. უეცრად მომვარდა ნატო და ჩამომეკიდა ყელზე.

— ნოდარ, შენი ღვთის გულისთვის მიშველე რა ვქნა. ჩვენი ბატონი როგორღაც მიყურებს, თითქოს მეაშიკება, ისეთი თვალებით მიყურებს ხოლმე, რომ საშინელია. რა ვქნა მითხარი?

— ამ სიტყვებმა მე თმა ამიშალეს და სისხლი მომიყვანეს ყელში.

— თავი მოარიდე, ნუ შეჰხვდები ხოლმე,—ვუთხარი მე.

— ეგ მეც ვიცი, უწინ დღე დამელიოს, სანამ მე იმისი აშიკობა მივიღო, მაგრამ მერე რა ვქნა.

— ღმერთი გვასწავლის მერე.

ამავე დღეს ბატონს განემეორებინა ნატოსათვის აშიკობა. ნატოს, რასაკვირველია, რომ იმისთვის არ მიეცა პასუხი, გამოვიდა სამი კვირა და ბატონს აღარა უთქვამს რა ნატოსთვის.

ნუ გიკვირს კი, სჯობს ჩემს გულში
ჩახედო,
წაიკითხო სიმწარისა ამბები:
ძმის ღალატი მოყვასთაგან დაჩაგვრა,
მეგობრისგან იუდასი ამბორი,
საყვარლისგან—წყეული სიყვარული,
ნაზის ხელით გულს დასმულნი დაღები!..
სოფლის გარე უწყალოდ განდევნილსა
დამავიწყდა რაცა ვიყავ ოდესმე!..
და აწ მხოლოდ დამშთა ესე ჩემს ბედად:
ტანჯვით შრომა, ოფლით ძებნა ლუკმისა...
და მიდის დღე, მიდის ღამე ამ ყოფით!

—

განცხრომის ძევ, ნებიერად გაზდილო,
ეს ქვეყანა შენთვის არის შექმნილი!
ველთ სიმწვანე, ცის ლაჟვარდი, მზის შუქი,
გაზაფხული სუნნელების ნიავიც,
შენ გეტრფიან, გახარებენ, გატკბობენ!
შენთვის ბრწყინვენ თვით ლამაზი თვა-
ლებიც;
ნაზი წელი რხევით შენკენ რონინებს;
მიმოჰქრიან შენთვის ზღვაში ხომალდნიც
ხელოვნების ძვირთ საუნჯეთ მზიდველი.
თვით მეც, მუშა, ჩემის ღონით, ოფლითა,
შენთვისა ვარ დაბადებით მსახურად:
დილითვე ვგვი ქუჩის უწმინდურებას,
რომ მის სუნი არ ეწყინოს შენ ცხვირსა,
და შორით გმზერ, კრძალვით მლოდე
წყალობის...
შენ ხარ მეფე... მე ძაღლადაც არ მაგდებ!..
რათა, რისთვის, ვის რა ვირი მოვპარე?

**გრიგოლ ორბელიანი.**

— —

# მონა და უფალი.

„აგერ უფალი და მისი მონა! *)
ორთოლით სასწორზედ ხარჯს უწონს
ძნელსა
და, რა დაჰსწორდა სასწორზედ წონა,
უფალი პინას ზედ ადგამს ფეხსა
და მით ხარჯსა ერთსა ორად ჰხდის...
მონამ მწუხარედ გულს გაილიმა,
უმწეობითა თავის ხარჯსა ჰზრდის
და საწყლის თვალთგან ცრემლმა იწვიმა.
მაგრამ ქვა არის ბატონის გული,
ვერ დაარბილებს მას შებრალება:
ვერა გაჰკურნოს მან მონის წყლული,
ვინც მონებას თვით ემორჩილება.
მონა ბედ-შავი, მონა საწყალი
სდგას, ევედრება მის თვალი შვებას,
და გულში ჰფიქრობს: ვიშ, ჩემი ბრალი!
რით შევძლებ შვილთა ჩემთ გამოკვებას?
ვიშ, ჩემი ოფლი, მათთვის დაღვრილი,
ნაყოფი, იმა ოფლით გაზრდილი,
დღე და ღამ ჩემი უწყვეტი შრომა,
დარში, ავდარში ცის-ქვეშე დგომა,
ვაი, ვაგლახი, ჰირნახულობა,
თმენა, ცდა, სიმხნე და უძილობა
მარტო ბატონის თვალსა ახარებს
და თქვენ, ცოლ-შვილო, კი არას გარგებს.
ვაიმე, ბედ-კრულს რაღა დამრჩება,
რომ გავახარო ცოლ-შვილის თვალი?..
ვინა შრომობდა და ვინა ძღება,
ღმერთო, სად არის აქ სამართალი?..

—

„შრომისა შვილო, მძიმე უღელი
ქვეყნის ცოდვისა შენ გაწევს კისრად,
თუმცა ტვირთ-მძიმეთ შემწყნარებელი
შენის ხსნისთვის ჯვარს ეცვა ქვეყნად.
თუმცა ქვეყანას მისი მოძღვრება
დღეს მარტო სიტყვით უქმით რწმენია,
მაგრამ ცხადად ჰხმობს მის წმინდა მცნება,
რომ მყოობადი მარტო შენია.
შრომა, აწ ქვეყნად ტყვეთა ჰყრობილი,
მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვნებული,
ხოლო რღვეული მისი ბორკილი
და დასამსხვრევლად გამზადებული.
შრომისა ახსნა—ეგ არის ტვირთი
ძლევა მოსილის ამ საუკუნის,
კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი
მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის.
ველარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას,
ველარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ჰეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას,—
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი,
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აღვავდების.

—

„შრომის სუფევა მოვა მაშინა
ჰეშმარიტების მის ძლიერებით
და განმტკიცდება სოფელსა შინა
კაცთ-მოყვარების სახიერებით.
ყველასთვის იქმნეს იგი სუფევა
თანასწორადა ნიჭთა მფენელი;
მის მადლით წარწყმდეს ძარცვა და რბევა
და ერთგან სძოვდეს ცხვარი და მგელი.
მაშინ უქმ სიტყვად არ იქმნებიან
ძმობა, ერთობა, თავისუფლება,
ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან
კაცთ-მოყვარება და სათნოება.
ალლო აილო ქვეყანამ ძველმა,
რომ მისი წყობა უკვე ირღვევა,
და ამ ზვიადმა საუკუნემა
უნდა შვას იგი შრომის სუფევა.
მაშინ, მაშვრალო, შენც განკაცდები,
წართმეულთ ნიჭთა კვლავ მოიპოვებ,
სხვას ძირს არ დასწევ, თვით ამაღლდები,
არც ვის ემონვი და არც იმონებ.
მაშინ ეგე ხმა შენის სიმღერის,
დაბლად ღუღუნი დაღონებული,
მღერა, ვით კვნესა, საწყალის მეხრის,
შორი ხმა მწყემსის დაობლებული—
მხიარულ ხმებად გარდაგეცვლების
და შენს გუთანზედ გულით ლმობილი
იტყვი სიმღერას თავისუფლების.
ეგ სიმღერაა, ვით ლოცვა ტკბილი!..
მინდორნი, ტყენი, ნახნავნი, ველნი
შენის ლხენითა განიხარებენ,
შენგან შემკულნი იგი ყოველნი
შენს ტკბილს სიმღერას ბანს გამოსცემენ.

**ილია ჭავჭავაძე.**

*) ეს იმ დროს ეკუთვნის, როცა ჩვენში ჯერ ბატონ-ყმობა გადავარდნილი არ იყო.

— —

# იმერული ნანინა.

ვუძღვნი საბატონო ყმების ახალ-შობილ
შვილებს.

გაპუტულო გლეხის შვილო,
შენ პაწაწინაო!
აგრე ტკბილად, უდარდელად
რამ დაგაძინაო?
დედის მკერდში მიგიგნია
შენ ტკბილი ბინაო...
დაიძინე, ვარდო-ნანა,
იავ-ნანინაო!..
დედა ეტყვის: „გენაცვალოს
შენი მშობელიო,
ძუძუებში ჩაგივლია
პაწაწა ხელიო!
შენს ვაჟ-კაცობას მომასწრებს
მე ღვთის-მშობელიო,
მამიშენის ბედის არ ხარ,
შენ სხვა ბედს ელიო:
შენი ვარსკვლავი სხვა არის;
ბედმა გიცინაო?
იავ-ნანა, ვარდო-ნანა,
იავ-ნანინაო!..
ღმერთს შენი ბედნიერება
წინედ უსახავსო,
შენც მის ნაცვლად ემსახურე,
ნურას იზამ ავსო,
დედას თმას ნუ მაწეწინებ,
ნუ ჩამაცმევ შავსო!
სხვებ რა გიჭირს: ხომ შეიტყე,
ბატონი არ გყავსო!
რისთვის შეკრთი? მართალია!
რამ შეგაშინაო?
იავ-ნანა, ვარდო-ნანა,
იავ-ნანინაო!..
გაიზრდები, გენაცვალე,
თავისუფალიო;
ბატონი ვერ შეგაწუხებს,
ვერც გაგტეხს ვალიო;
შენს მტერს და მოშურნესა
დაუდგეს თვალიო;
ჰირისა და ავ თვალისგან
გიხსნის უფალიო!
ხომ გიამა, გენაცვალე!
მან გაგიცინაო?
იავ-ნანა, ვარდო ნანა,
იავ-ნანინაო!..
დიდი-კაცის შვილს სკოლაში
გვერდთ მოუჯდებიო;
აბა შენ იცი, ბიჭოჯან,
როგორ ეცდებიო;
ძველ ბატონის შვილს სწავლაში
ნუ ჩამორჩებიო,
გლეხსა ნიჭი არა აქვსო,
არ აფიქრებიო!..
შენი დაჩაგრული ძმები
შენ უნდა იხსნაო,
იავ-ნანა, ვარდო-ნანა,
იავ-ნანინაო!
ჩინოვნიკებიც არიან
ჩვენი გამწვალეო:
ჩვენ საქმეზე როცა მივალთ,
გვეტყვიან: „ხვალეო“,
და ჩვენ როცა დაგვსაქმებენ,
მაშინ კი—„მალეო“!
ამას შენ ველარ გეტყვიან,
შენ გენაცვალეო,
რომ ველარ დაგიბრიყვებენ,
თუ რომ თავი სცანო!
იავ-ნანა, ვარდო ნანა,
იავ-ნანინაო!
პაწაწინა იადონო
და ვარდის კონაო,
დღეს ხომ კარგად გაიგონე,
ჩემი ნანინაო?
და თუ კარგად გაიგონე,
ხომ მოგეწონაო?
მაშ ნუ გძინავს! გაიღვიძე!
იცან ქვეყანაო!
შენც შეიტყე ამა სოფლის
ცრუ გამოცანაო!
იავ-ნანა, ვარდო-ნანა,
იავ-ნანინაო!

**აკაკი.**

---

სამი კვირის შემდეგ დამიბარა ბატონმა, მომცა ერთი წიგნი და მიბძანა წაღება მისი ქალაქს ერთ იმის მოკეთესთან და იქიდან მოტანა იმ წიგნის პასუხისა. მე გამოვართვი ის წიგნი, წაველი ქალაქს. იმ წიგნში თურმე სწერდა ჩემი ბატონი, რომ მე დავეჭირეთ ქალაქში სამი-ოთხი კვირა. სამი კვირა რომ გავიდა წამიკითხეს წიგნი და მითხრეს, რომ წავსულიყავ სოფელში. მე მაშინვე შევიტყვე რისთვისაც იყო ეს საქმე მოხდენილი და როგორც მივედი სოფლის ბოლოს, შემხვდა ერთი ბებერი დედაკაცი:

— დედა შვილობას მითხარი, ჩვენი გოგო რასა იქს? ვკითხე იმას

— ეჰ შვილო, ნუ მკითხავ, შენი მტერი იყოს, ის რომ არის.

— რა ამბავია? მითხარი ჩქარა დედაშვილობას, შეკრთომით ვუთხარი მე.

— რა ამბავია შვილო, ჩვენი ბატონი გააშიკებიყო იმას, და იმ წაწყმენდილს დაყოლებით რომ ვერა ექნა რა, მერე ძალა ეხმარა და შიშით თურმე უნდოდა შეეყვარებინა თავი. საწყალ ქალს ჯერ კი ეთმინა, მაგრამ შემდეგ მოთმინებიდან გამოსულიყო და წყალში ჩავარდნილიყო. აი ნაზას თავში თურმე იპოვეს საცოდავი.

მე ველარ გავიგონე უკანასკნელი სიტყვები. გაცხარებული მივარდი ბატონთან.

— ბიჭო, რა ამბავია?—დამიძახა იმან,—ეშმაკს გიგავს ეგ სახე.

— არაფერი, სად არის ნატუა?

— ეშმაკმა იცის შენი თავი. სულ შენი საქმეა შე ძაღლი-შვილო უთუოთ...

მე აღარ დავასრულებინე სიტყვა და მივვარდი ხანჯლით.

— რას შვრები, შე მამაძაღლო. მიშველეთ, მომკლა. დაიკივლა ბატონმა.

ეს იყო იმის უკანასკნელი სიტყვა. შემდეგ დაიწყო სასიკვდილოთ ხრიალი, ბატონის შეკივლებაზე გამოვარდა ქალბატონი და ეს ამბავი რომ დაინახა, შეჰკივლა და შევარდა თავის ოთახში. იმის ძმამ მომაგონა, რომ კიდევ მყავდნენ ჯავრის ამოსაყრელნი პი-ნი და გამოუდექ იმას. ოთახში რომ შევარდი, დავინახე, რომ ქალბატონი გარდახვევიყო შვილს და იფარავდა.

— ნოდარჯან, მე მომკალ, ჩემ გიგოს ნუ მომიკლამ, არა დაუშავებია-რა შენთვის, მითხრა ქალბატონმა ხვეწნით.

— მე ნუ მომკლამ, შენთვის არა დამიშავებია-რა, გაიმეორა ყმაწვილმა.

მაგრამ მე არ მესმოდა იმათი ხვეწნა, სისხლისაგან გაგიჟებულმა მე დავაკალი დედა შვილსა. გაბრაზებული სისხლისაგან გამოვარდი კარში, შევჯექ ცხენზედ და გამოვიქეცი. საღამოზედ დამეწივა მდევარი და რასაკვირველია, არა თუ იმათგანმა დამიჭირა ვინმე მან მოინდომა მოკვლა, არამედ თითონვე მასწავლეს, რომ გადავარდნილიყავ ახალციხისკენ, მე მართლა დავიჯერე იმათი დარიგება და მესამე დღეს მივედი ახალციხეს. აქ მაშინვე გამოვცხადდი მუფტისთან და მოვახსენე სურვილი მათი სჯულის მიღებისა. მეორეს დღეს დიდის ამბით მივიღე თათრობა, ვგმე ქრისტე, აქ ყველა ოსმალოს დიდკაცებმა დამაჯილდოვეს, მირჩიეს სტამბოლში წასვლა და იანიჩარის ჯარში გამწესება. მე წაველი და გავწესდი. უნდა მოგახსენო, რომ აქ ჩემი გარეგანი ცხოვრება იყო ძრიელ კარგად, მაგრამ რა სრულდებოდა ჩემ გულში, ის უწყიდა მხოლოდ ღმერთმა.

მოკვლა უბრალო ყმაწვილისა, და უმეტესად გადადგომა ქრისტიანობისა არ მაძლევდენ მე მოსვენებას და არც ეხლა მასვენებენ. მხიარულებაში, ძილში, ომში ან თუ საცა გინდა ყველგან სისხლში შესვრილი ყმაწვილი მიდგა წინ და მეუბნებოდა სალმობით.

— მე რა დაგიშავე, რათ მომკალ?

რამდენჯერ ვეძიე მე ომში სიკვდილი, რამდენჯერ გიჟივით გადავარდი გახშირებულ ომში, რომ ჩქარა გავსწორებულიყავ ცხოვრებას, მაგრამ მტრის ტყვია არა მპოულობდა მე და სიკვდილის მაგიერ გამივარდა მამაცობის და გულადობის ხმა და იმან მაშოვნინა ასისთაობა, მაგრამ ამის შემდეგაც არ დამშვიდდა ჩემი სინდისი. შემდეგ იმ ფიქრით, რომ გავიქარვო ეს აზრები, დავიწყე ვაჭრობა, მოვიგე ფული, მაგრამ ჩემი სინდისი არ დამშვიდდა.

— ღმერთო, მომეტევება როდისმე მე ჩემი შეცოდებანი!—სთქვა ჩუმათ ჩაფიქრებულმა და თითონვე დაატანა:—საიდუმლო ხმა მეუბნება, რომ არაო.

— ღმერთი მრავალ მოწყალეა,—უთხრა დურმიშხანმა.

— მე გამიგონია, რომ არ არის ცოდვა, რომელიც არ მიეტევოსო, თუ წმინდა გულით მოინდომებსო.

— არა, ჩემთვის არ არის მოტევება. ჩაფიქრებით სთქვა ოსმან-აღამ.—არა სჩანს მოტევება.

— სასოწარკვეთილებას ნუ მისცემ თავსა, ღმერთი მრავალ მოწყალეა, განუმეორა დურმიშხანმა.

— ეჰ, გეყოფა, უკაცრავათ მოგაწყინე თავი, დაღონებულის ღიმილით უთხრა ოსმან-აღამ და უბრძანა ბიჭებს ცხენების მომზადება.

— შენც ჩვენთან წამოხვალ ვგონებ, კითხა დურმიშხანს,—გზაზედ მოვილაპარაკებთ შენ მომავალ ცხოვრებაზე.

— გიახლები.

რამდენიმე წუთის შემდეგ შეჯდნენ ცხენზე და გასწიეს.

**დანიელ ჭონქაძე.**

---

# ახალი ამბავი.

**ჩვენი გაზეთის შემდეგი ნუმერი დღესასწაულის გამო 21 თებერვლამდი აღარ გამოვა.**

✦ **ი. გოკიელოვის შვილების სავაჭრო სახლიდან ჩვენმა რედაქციამ მიიღო ოცდა ხუთი მანეთი დამშეულ ქართველთა სასარგებლოთ.**

✦ სახალხო სკოლების მეოთხე რაიონის ინსპეკტორი სკოლების დასათვალიერებლათ—გუშინ დ. ხონში გაემგზავრა.

✦ ამ ჟამათ ქალაქის თეატრში ლექტორი ვლ. ბაქრაძე წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: **„აკაკი, როგორც ეროვნული პოეტი“.**

✦ დეპუტატი ვლ. გელოვანი ამ ჟამათ მოთავსებულია თფილისში არამიანცის საავათმყოფოში. მას ამ ჟამათ 40 გრადუსი სიცხე აქვს.

✦ თფილისის სასულიერო სასწავლებლის მოწაფეები, რომელნიც სწავლის შეწყვეტის გამო ქუთაისში იყვნენ ჩამოსული, თფილისს ისევ გაემგზავრენ. მათ სწავლა 23 თებერვლიდან დაეწყებათ.

— დღეს ქალაქის თეატრში ქართ. მსახიობთა ამხანაგობის მიერ **ნინო ჩხეიძის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა **„მარგარიტა გოტიე“**, თარგმანი გუნია—იმედაშვილისა.

✦ კვირას, 22 თებერვალს, შესდგა გუბერნიის კოოპერატივის ამხანაგობის საზოგადო კრება. კრება სხვადასხვა საკითხს განიხილავს.

✦ მსახიობთა ამხანაგობას განზრახვა აქვს დასში მოიწვიოს მსახიობი ვასო არაბიძე. მოლაპარაკება უკვე დაწყებულია.

✦ სამშაბათს, 24 თებერვალს, დ. ჭიათურაში ქ.-ნი ნინო ჩხეიძის მონაწილეობით, ქუთაისის მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება პიესა „უბედური ნაბიჯი“.

✦ ამ დღეებში ქუთაისის ქალაქის გამგეობა ჯარში გაწვეულთა ოჯახების დასარიგებლათ, ხაზინიდან ფულს მიიღებს.

✦ გუშინ ქალაქის გამგეობის დარბაზში საჯარო ვაჭრობა ეკლარის ქვასატეხის იჯარით გაცემის შესახებ არ შესდგა. გამგეობას განზრახვა აქვს ხსენებული ქვასატეხი ისევ ოჯახური წესით აწარმოოს.

✦ დღეის შემდეგ ქუთაისში წარმოდგენები შეწყვეტილი იქნება პირველ მარტამდი.

✦ როგორც გვწერენ, თფილისში უკვე შემდგარა ქართ. მსახიობთა ამხანაგობა, რომელიც დაიწყებს წარმოდგენების მართვას მარხვის მეხუთე კვირიდან.

✦ კვირას, 22 თებერვალს, [illegible] თეატრში ს. [illegible] ლექციებს წაიკითხავენ ომ-ის შესახებ.

✦ როგორც გავიგეთ, წელს ქუთაისის ქართული გიმნაზიის ეგზამენებზე დასასწრებლათ ჩამოვა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის თანაშემწე.

✦ 20 თებერვალს ოლქის სასამართლო გაარჩევს ვლადიმერ კვაჭანტირაძის, სარდიონ ჩიმაკაძის, ნესტორ ცაკოლიას და სხვების საქმეს.

✦ ქუთაისის ბაზარზე ამ ჟამათ სოფლიდან შემოტანილი სანოვაგე შემდეგ ფასებში გადის: სიმიდის ფქვილი ერთი მანეთი და 63 კაპიკი, სიმინდის მარცვალი—ერთი მანეთი, ლობიოს მარცვალი—ერთი მანეთი, ცერცვი ორი მანეთი, ყველი ჩარექი (ორ გირვანქა ნახევარი) ათ შაურად და სხვ.

---

# ომი.

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პარიზი.** 17 თებერვალი. ოფიციალური. წვიმა და საშინელი ქარიშხალი მთელ დღეს, გუშინ, ხელს გვიშლიდა, მაგრამ შამპანიაში ჩვენ მაინც მოვიგერიეთ გერმანელების კონტრიერიში, შევინარჩუნეთ ყველა ის ადგილი, რომელიც მტერს გუშინ წავართვით და მტერს საშინელი ზარალი მივაყენეთ. ამავე რაიონში ჩვენ წინ წავიწიეთ. პონტამუსონის ახლოს, ლეპრევის ტყესთან, ჩვენ ხელთ ვიგდეთ გერმანელების ზარბაზნის დასადგმელი სიმაგრენი (ბლოკჰაუზი) და მოვიგერიეთ მტრის ძლიერ მაგარი იერიში. დანარჩენ ფრონტებზე შესანიშნავი არ მომხდარა რა.

**კავკასიის ასპარეზი.**

**პეტროგრადი** 17 თებერვალი. ოფიციალური. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ჭოროხის მხარეზე, ოსმალების ცდამ, რომ ჩვენ ჯარზე კონტრიერიშით მოსულიყვნენ, უქმათ ჩაიარა. ოსმალები უკუვაგდეთ მათთვის დიდის ზარალით. ოლთისის მხარეზე მთელი დღის შეტაკებები ჩვენთვის სასარგებლოთ დამთავრდა. სხვა ფრონტებზე ცვლილება არ მომხდარა.

**დარდანელთან.**

**ლონდონი.** 16 თებერვალი. ოფიციალური. სამხედრო მოქმედება დარდანელთან კვლავ შევსწყვიტეთ ძლიერი ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარისა, წვიმისა და ნისლის გამო, რომელიც ხელს გვიშლის შორიდან სროლასა და ჰაეროპლანის ოპერაციებზე.

# სხვა და სხვა ამბები.

**პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან.**

**პარიზი.** 16 თებერვალი. საფრანგეთი და ინგლისი მიმართვენ ნეიტრალური სახელმწიფოებს ნოტით, სადაც ნათქვამია, რომ ისინი იძულებული არიან მიმართონ რეპრესიულ ზომებს, არავითარი საქონელი და სანოვაგე გერმანიაში სხვა სახელმწიფოდან არ შევიდეს. ინგლისი და საფრანგეთი ახორციელებენ იმას იმნაირი გზით, რომ არც ერთი ნეიტრალურ სახელმწიფოს გემი, რომელიც დანიშნული არ იქნება გერმანიისათვის, არ იქნება ჩაძირული.

**სტოკჰოლმი.** გერმანიის მდგომარეობა საკვების მხრივ უფრო და უფრო უარესდება. ჯარისკაცების კერძი უკვე შეამცირეს. რძე ძლივს ყოფნისთ. ყოველი მხრიდან ისმის საყვედური ხორბლის კონფისკაციის გამო. მცხოვრებლები მხედველობაში არ იღებენ, რომ გერმანიის სამხედრო წრეები ფიქრობდენ საფრანგეთის და რუსეთის სწრაფათ მოსპობას, მაგრამ გეგმა მთლათ ერთიანათ დაენგრათ. გერმანია თანდათან უახლოვდება კატასტროფას.

---


ყოველი მეაბრეშუმესათვის ცნობილი ფირმის

**ძმათა პასხალიდის**

აბრეშუმის თესლი უკვე მიღებულია და იყიდება ქუთაისში **ნიკიფორე მ. ჯანელიძის** მაღაზიაში; **ბათომსა და ჭიათურაში მ. ს. მანუილიდის** კანტორაში ხელსაყრელ ფასათ. მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს რამდენიც სჭირდება დროზე.

თ. 69.


რედაქტორ-გამომცემელი ი. თ. ცინცაძე.